
სიბრტყლის ნებისმიერი დონის თვითორგანიზებად სისტემების განვითარებაში ასხვევენ ორ ეტაპს: ევოლუციურს, რომელიც თვისობრივად არ ცვლის სისტემას და ნახტომს, რომელსაც გადასავსა იგი კრიზისული მდგომარეობიდან მოწესრიგებულობის უფრო მაღალი დონის თვისობრივად ახალ მდგომარეობაში. შეკუმშული სახით სამყაროს განვითარების ახალი სამეცნიერო კონცეფციის წარმოდგენები სამწვერა ფორმულაში ერთიანდება სისტემურობა, დინამიზმი, თვითორგანიზაცია.

სისტემურობა - ესაა ზოგადი სისტემური მიდგომა, რომელიც ეფუძნება იმას, რომ სამყარო ქმნის განსხვავებულ მასშტაბიან ღია და არაწინასწორულ ქვესისტემებს. ნებისმიერი მასშტაბის სისტემისათვის გარე გარემოს წარმოადგენს უფრო მსხვილი მასშტაბის დედისისტემა, რომელთანაც იგი აწარმოებს ენერჯისა და ნივთიერების გაცვლას. ნივთიერი სამყაროსთვის, როგორც აღვნიშნეთ, გარეგან გარემოს ფიზიკური ვაკუუმი წარმოადგენს. სამყაროს ნებისმიერი ქვესისტემა, მაგალითად, გალაქტიკა, მზის სისტემა, პლანეტა, ბიოსფერო, ადამიანი და ა.შ. სისტემურობის ფაქტორის გათვალისწინებით, წარმოადგენს ერთიან ბუნებრივ სხეულს, რომელსაც გაიანია გარკვეული ავტონომია და განვითარების საკუთარი გზა, მაგრამ, რომელიც რჩება მილიანის განუყოფელ ერთიან ნაწილად.

დინამიზმი - ესაა შეუძლებლობა სისტემის არსებობისა და განვითარების მოძრაობის გარეშე. დინამიზმი - ნებისმიერი მასშტაბის სისტემის თავისებურებაა.

თვითორგანიზაცია - ესაა სისტემის უნარი საკუთარი ელემენტების გართულების გზით წარმოშობს თვითორგანიზაციულად უფრო მაღალი დონის მოწესრიგებული სტრუქტურები. ვიწრო გაგებით, თვითორგანიზაცია არის ნახტომი, ფაზური გადასვლა ნაკლებად მოწესრიგებულიდან უფრო მოწესრიგებულ მდგომარეობაში. თვითორგანიზებად სისტემებს აქვთ უნარი დააგროონ შეინახონ და გამოიყენონ ინფორმაცია, მათ შორის თვით სისტემის განვითარების შესახებაც [8].

ახალი კონცეფციების შექმნე სხვაგვარადაა წარმოდგენილი ისეთი კატეგორიები, როგორცაა შემთხვევითობა და კაოზისმიერება. საქმე იმაშია, რომ განვითარების პროცესში ევოლუციური ეტაპი მკაცრად და დეტერმინირებული, შესაძლებელია სისტემის ქცევის წინასწარ განსაზღვრა და მისი მართვაც კი (თუ არსებობს მართვლი და შესაძლებელი). ევოლუციური პროცესის დამამთავრებელ სტადიაში მდგომარეობა უახლოვდება კრიტიკულს და მის კრიტიკულ წერტილებში (როგორც მათ უწოდებენ ბიფურკაციის წერტილებში) უკვე შემთხვევითობა ბატონობს. ამგვარ წერტილებში შეუძლებელია იმის განსაზღვრა, თუ ნახტომის შედეგად რა ახალ მდგომარეობას მიადგენს სისტემა. ამრიგად, სისტემის განვითარების პროცესში, ყოველი შემდგომი ევოლუციური ეტაპი იწყება ახალ ეტაპზე სისტემის შემთხვევით გადასვლის შედეგად [1,8].

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბ. მიშველადზე, თანამედროვე ბუნებისმეტყველების კონცეფციები, თბილისი, გამომც. "მერანი-3" 2000წ.
2. Стеббинс Л. Дж, Айала Ф.Х. Эволюция Дарвинизма, Ж. В мире науки, 1985, № 9.
3. Кауфман С. А. Антихаос и приспособление, Ж. В мире науки, 1991, № 10.
4. Шредингер Э. Что такое жизнь с точки зрения физики, Изд. Иностранной лит-ры, Москва, 1947г.
5. Хакен Г. Синергетика, Изд. Мир, Москва, 1980г.
6. Пригожин И., Стенгерс И. Порядок из хаоса, Изд. Мир, Москва, 1986г.
7. Силин А. А. Энтропия, вероятность, информация, Ж. Вестник РАН, т. 64, № 6, 1994г.
8. Салин Ю. С. Стратиграфия - порядок и хаос, Ж. Природа, № 5, 1993г.

Самоорганизация в термодинамических структурах

Мишвеладзе Б. (ITCYU)

В статье рассмотрены итоги второго начала термодинамики, как для замкнутых, так и для открытых систем. Показано, что только термодинамика неравновесных систем смогла преодолеть те противоречия, которые существовали между классической термодинамикой с одной стороны и биологической, социальной и исторической науками с другой стороны. Путём обобщения результатов работ ряда учёных, автором перечислены условия, необходимые для возникновения и поддержания процессов самоорганизации в термодинамических структурах.

Self-organization of the Thermodynamics System

B. Mishveladze (GSAU)

The article discusses the results of the second rule of the thermodynamics both for the closed and for the opened systems. It is vividly publicized, that only the thermodynamics of the unbalanced systems could overcome those obstacles, which existed among thermodynamics on the one side and social, biological and historical sciences on the other side. Meanwhile, emphasizing upon the works of various authors, the necessary issues for the self- organization of the thermodynamics system can be formulated.



ნაშრომში განხილულია დაბინძურებული ნიადაგიდან არაორგანული და ორგანულ მატერიალს მოხრეშვის გაზორი ქრომატოგრაფიული ანალიზის თანხმდე არტეფაქტების წარმოქმნის მიზეზები და მათი თავიდან აცილების გზები.

ნიადაგის დაბინძურების განსაზღვრა მიეკუთვნება ანალიზური ქიმიის საკმაოდ რთულ ამოცანას [1], ვინაიდან საანალიზო სინჯი შეიძლება ერთდროულად შეიცავდეს სხვადასხვა კლასის ანობით მაკნე ქიმიურ ნაერთს. ნიადაგიდან დამაბინძურებელი ნივთიერებების ამოღების შემდეგ (ექსტრაქცია ან თერმოდესორბცია) მიღებული ექსტრაქტის ან კონდენსატის ანალიზი არაფრით არ განსხვავდება დაბინძურებული პაერის გაზორი ქრომატოგრაფიული ანალიზის საყოველთაოდ მიღებული ანალიზური პროცედურებისაგან [2]. შესაბამისად, ყველა არტეფაქტები, რომლებსაც შეუძლიათ გამოიწვიონ ნიადაგის დამაბინძურებელი ტოქსიკური ნივთიერებების განსაზღვრის შედეგების დამახინჯება (განსაკუთრებით იდენტიფიკაციის შედეგების), უკანასკნელ შემთხვევაში პაერის დაბინძურების ქრომატოგრაფიურებისთვის დამახასიათებელი არტეფაქტების ანალიზური იქნება [3].

განსხვავება შეიძლება იყოს მხოლოდ მატრიციდან (ნიადაგი) ტოქსიკური ნივთიერებების ამოღებაში. ტერმინი „ნიადაგი“ წარმოადგენს ფართო ცნებას [1], რომელიც შეიცავს მიწის ზედაპირზე არსებულ უამრავ ნივთიერებებს. ნიადაგი წარმოადგენს ფსვიერ მასალას, რომელიც შეიცავს მინერალურ, ორგანულ ნივთიერებებს (5%), წყალსა და პაერს. თუ ჩვენ ნიადაგს განვიხილავთ როგორც რეზერვუარს, რომელშიც ამა თუ იმ მიზეზით (ძირითადად ანტროპოგენური წყაროებიდან) გროვდება ორგანული და არაორგანული წარმომავლობის მაკნე ქიმიური ნივთიერებები, ანალიზის სისწორეზე გავლენის მქონე შესაძლო არტეფაქტები (იდენტიფიკაციისას) შეიძლება ვეძებოთ ანალიზური პროცედურის სწორედ ამ სტადიაზე. ნიადაგიდან დამაბინძურებელი ნივთიერებების ამოღებისას შესაძლებელია შემდეგი ძირითადი არტეფაქტები:

- გამხსნელ-ექსტრაგენტის მიერ უცხო მინარეუების შეტანა;
- სხვადასხვა ბუნების დამაბინძურებლების არათანაბარი ამოღება;
- თერმოდესორბციული ამოღებისას მიზნობრივი კომპონენტების დაშლა.

ნიადაგიდან ტოქსიკური ნივთიერებების ექსტრაქციული ამოღებისას უფრო მეტად დამახასიათებელი არტეფაქტებს (ექსტრაგენტები-წყალი ან ორგანული გამხსნელები) წარმოადგენს გამხსნელდან სინჯში მინარეუების შეტანა ან ნიადაგიდან სხვადასხვა კლასის ნაერთების არათანაბარი ამოღება [3]. იმ შემთხვევაში თუ ეს „არათანაბრობა“ აღწევს 50-60% და მეტს, მახინჯდება დაბინძურების განსაზღვრის არა მხოლოდ რაოდენობრივი შედეგები, არამედ (რაც მთავარია) ცუდად ექსტრაგირებული შედეგები შეიძლება „დაიკარგოს“ სხვა კომპონენტების არსებითად დიდი კონცენტრაციის ფონზე, რასაც მივეყვართ ნიადაგის დამაბინძურებელი ნივთიერებების იდენტიფიკაციის სრულ დამახინჯებაში.

ამიტომ, ნიადაგის დამაბინძურებელი რთული ნარეუების ანალიზისას (მაგალითად N_2 , NO_2 , NH_3 , CO_2 , PH_3 , ნახშირწყალბადებისა და გოგირდოვანი ნაერთების შემცველი) საჭიროა გამოიყენოთ ან თერმოდესორბცია ან საკმაოდ ყურადღებით ვიყოთ გამხსნელის შერჩევისას [4]. ნაწილობრივ ექსტრაგენტად წყლის, მეთანოლის, წყლისა და მეთანოლის ნარევის და სხვა პოლარული ნარეუების გამოყენებისას წყალხსნარში კარგად იქნება „აღმოჩენილი“ მხოლოდ წყალში ხსნადი ნაერთები, ხოლო პოლარულ გამხსნელებში აღმოჩნდებიან უპირატესად პოლარული ნაერთები (სპირტები, ალდეჰიდები, კეტონები, მჟავები და სხვ.). მიორეს მხრივ, პოტენციური არტეფაქტები შეიძლება გამოყენებულ იქნას იდენტიფიკაციის მიზნითაც – ჯერ გაანალიზებულ იქნას წყლიანი გამონაწერი, შემდეგ კონტროლირებადი კომპონენტების ექსტრაქტი პოლარულ გამხსნელში, არაპოლარულ გამხსნელებში და ა.შ.

შესაბამე ფაქტორი, რომელსაც უნარი შესწევს არსებითად შეცვალოს დამაბინძურებელი ნივთიერებების შედეგნილობა ნიადაგის ანალიზისას, არის თერმოდესორბცია მატრიციდან ტოქსიკური ნივთიერებების ამოღების სტადიაზე. ამ შემთხვევაში, შესაძლო არტეფაქტების თავიდან ახაცილებლად საჭიროა თერმოდესორბცია განხორციელდეს რბილ პირობებში, როგორც ეს აღწერილია მაგალითად, სამუშაოში [5].

ნიადაგის ნიმუშები იშლება მკერევი ქაღალდზე არაუმეტეს 0,5 სმ სისქის თანაბარ ფენად და შრება მზის პირდაპირი სხივებისაგან დაცულ დია პაერზე 20°C ტემპერატურაზე 16 სთ

განმავლობაში. შემდეგ გამოშვრალი მასის 2g ათავსებენ 200 x 8მმ ზომის მინის მილ-ქორომელიც თერმოდესორბერის ღუმელში ნელ-ნელა ცხელდება 20-დან 200°C-მდე 30 წუთის განმავლობაში. ამავდროულად, მილში უშვებენ პელიუმს (ხარჯი 20-30 მლ/წთ). ღუმელდან გამოყოფილი ნარჩენი ტენის შთასანთქმელად იყენებენ 0,5g ნატრიუმის სულფატის 3% ხსნარს პატრონას და ცვლით 3 A შვეცელულ 30x4მმ ზომის მინის მოკლე მილს. ასევე გამოიყენება 3A პატრონას და ცვლით 3 A შვეცელულ კვარცისაგან დამზადებულ 200 x 4,5მმ ზომის მილ-კონცენტრატორში, რის შემდეგაც (თერმოდესორბიცია და კრიოფოკუსირება) მიზნობრივი კომპონენტების ანალიზი ხდება ქრომატო-მას-სპექტრომეტრზე.

ნიდადაში აქროლადი ორგანული გამხსნელების ექსპრეს გაზური ქრომატოგრაფიული განსაზღვრისას, ადვილად შეიძლება ავიცილოთ არტეფაქტები, რაც განპირობებულია სინჯის დაშლით, თუ კი ნიდადის ნიმუშს (1g) 1 საათის განმავლობაში დაეფოკუსებთ დახუფულ კოლბაში 60 °C ტემპერატურაზე, შემდეგ კი სიდიკონიან კაპილარულ სვეტზე ტემპერატურის პროგრამირებისას გამოვიკვლივთ წონასწორულ ორთქლის ფაზას [6].

გამოყენებული ლიტერატურა

1. Хроматографический анализ окружающей среды. пер. С англ./ред.Березкин В.Г., М.: Химия, 1979, с. 606. с.
2. ქ ბერაშვილი, ი. შათირიშვილი. არტეფაქტები დაბინძურებული ჰაერის ანალიზის სტადიაზე ავარადული შეცნობების პრობლემები. საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტრო. XXXIX თბილისი 2007. 49-52. გვ.
3. Analytical aspects of environmental chemistry (Chemical analysis series, vol.64) Eds Natusch D., Hopke P.K., N-V. Willy, 1983, 267 p.
4. Drugov Vу.S.- Abstr. Sympos. Environmental analyse. Tartu, 1995. Publications on chemistry XXIII. University of Tartu, Department of chemistry, 1995, 17-33 p.
5. Раствинков Е.Г., Другов Ю.С.-Журн. Аналит. химии, 1993, Т.48, № 9, 1429-1434 с.
6. Maggio A.e.a. - J. High Res. Chromatogr., 1991, V.14, № 9, 618-620 p.

Artefакты в анализе загрязнений почвы

Шатиришвили Ш.И., Шатиришвили И.Ш., Гиглашвили Ш.К. (ГТСХУ)

После извлечения загрязняющих веществ из почвы (экстракция или термодесорбция), анализ полученного экстракта или конденсата ничем не отличается от аналогичной процедуры, принятой в газохроматографическом анализе загрязнений воздуха. Следовательно, все артефакты которые могут привести к искажению результатов определения загрязняющих почву токсичных веществ (особенно результаты идентификации) в последнем случае будут аналогичны для хроматографирования загрязнений воздуха.

Если рассматривать почву лишь как резервуар, в котором в силу тех или иных причин (в основном из антропогенных источников) накапливаются вредные химические вещества органического и неорганического происхождения, то возможные артефакты, влияющие на правильность анализа (идентификации), следует искать именно на этой стадии аналитической процедуры. При извлечении загрязняющих веществ из почвы возможны следующие основные артефакты: внесение посторонних примесей растворителем – экстрагентом, неравномерное извлечение загрязнений различной природы и разложение целевых компонентов при термодесорбционном извлечении.

При экспрессном газохроматографическом определении в почве летучих органических растворителей можно легко избежать артефактов обусловленных разложением пробы, если образец почвы (12) выдержать в течение 1 ч в закрытой колбе при температуре 60°C, а затем исследовать равновесную паровую фазу на капиллярной колонке с силиконом при программировании температуры.

Artefacts in Analyses of Polluted Soil

Sh. Shatirishvili, I. Shatirishvili Sh. Gigilashvili (GSAU)

When taking out the polluted substances from soil, it is possible to expose the following main artefacts: bringing in unknown admixtures by diluting extragens, taking out different nature pollutants unequally, when taking out термодесорбционно analysing objective components After taking out toxic matters from the ground (extraction or термодесорбtion), the analysis of received extract or condenser are not different from the analogous, world widely accepted procedures of polluted air gas chromatographic analyses. Accordingly, all artefacts which can disfigure toxic pollut matters defining outcomes of soil (especially identification outcomes) at the last case it would be analogous to typical artefacts chromatography of air polluting.

There is shown the possibility of avoiding artefacts on time of analysing components for special purpose of gas chromatography.



ნაშრომში განხილულია გეგმის ოპტიმალური ვარიანტის მოძებნის შემთხვევა, რომელიც დაკავშირებულია უცნობთა დიდ რაოდენობასთან. აგრეთვე იხილება ტრანსპორტის ამოცანა, რომელშიც შინ შენელოვანა გადახდის ოპტიმალური გეგმის განსახიზრება დაწერილობითაა განხილული კავშირულ დაბანდვითაა განაწილების ოპტიმალური გეგმა დარგის კამიტ-დღაბანდვების კონომიკური ეფექტიანობის მანქნეწვლა პროდუქციის ასორტიმენტის ოპტიმიზაციის ამოცანა.

გეგმის ოპტიმალური ვარიანტის მოძებნის ბური შემთხვევა დაკავშირებულია წრფივი პროგრამირების ისეთ ამოცანასთან, რომელიც შეიცავს უცნობთა დიდ რაოდენობას. აქ განვიხილავთ ზოგიერთი ტიპის ამოცანას, რომელიც დაკავშირებულია ერთობლივი მატრიალური წარმოების ზოგიერთი დარგის ოპტიმალური გეგმის განსახიზრებასთან წრფივი პროგრამირების დახმარებით.

მატრიალური წარმოების ოპტიმალური გეგმის განსახიზრება. ვიგულისხმობ, რომ

1. ნედლეულისა და მასალების წარმოება იყოფა n დარგად;
2. საგეგმო პერიოდში მოცემულია მატრიალურ დანახარჯთა კოეფიციენტების $B = [b_{ij}] (i, j = 1, 2, \dots, n)$ მატრიცა;
3. მოცემულია საბოლოო პროდუქტები $x_1^{(0)}, x_2^{(0)}, \dots, x_n^{(0)}$ (ღირებულების ერთეულებში) საგეგმო პერიოდის წინა პერიოდისათვის.

თუ ცალკეული დარგებისთვის პროდუქციის მოცულობებს აღვნიშნავთ X_1, X_2, \dots, X_n - თ, მაშინ გეგმის შინაგანი დაბალანსების პირობა არის განტოლებათა სისტემა:

$$\begin{aligned} b_{11}x_1 + b_{12}x_2 + \dots + b_{1n}x_n + x_1 &= X_1 \\ b_{21}x_1 + b_{22}x_2 + \dots + b_{2n}x_n + x_2 &= X_2 \\ \dots & \\ b_{m1}x_1 + b_{m2}x_2 + \dots + b_{mn}x_n + x_n &= X_n \end{aligned} \quad (1)$$

სადაც, x_1, x_2, \dots, x_n - ცალკეული დარგების ნაწარმთა გეგმით გათვალისწინებული საბოლოო პროდუქტებია [1,2].

საბოლოო საზოგადოებრივი პროდუქტის სხვადასხვა ვარიანტს შეესაბამება ცალკეული დარგების საწარმოო გეგმების სხვადასხვა ვარიანტი. მატრიალური წარმოების გეგმის ოპტიმალურ ვარიანტად შეიძლება მივიღოთ ის ვარიანტი, რომელიც, მაგალითად, უზრუნველყოფს არანაკლები საბოლოო პროდუქტის მიღებას, ვიდრე წინა პერიოდში და რომლისთვისაც პროდუქციის მოცულობა ღირებულების ერთეულებში იქნება მაქსიმალური. მაშასადამე, ოპტიმალური იქნება გეგმის ისეთი ვარიანტი, რომელიც აკმაყოფილებს პირობებს:

$$x_i = X_i - \sum_{j=1}^n b_{ij}x_j \geq x_i^{(0)}, \quad i = 1, 2, \dots, n \quad (2)$$

$$\sum_{i=1}^n X_i = \max \quad (3)$$

წარმოებისათვის აუცილებელია შემდეგი ფაქტორები: ა) შრომის საგნები p , ბ) წარმოების საშუალებები m , გ) საშუალო ძალა s , რომლებიც გვაქვს სასრული რაოდენობით. საწარმოო გეგმის ოპტიმალური ვარიანტის შედგენის დროს აუცილებელია განისახიზროს

1. წარმოების ფაქტორთა ხარჯვის ნორმები, რომლებიც გაგვანჩნა შემოსახიზრულ რაოდენობით;
2. წარმოების ფაქტორთა მარაგის რაოდენობები;
3. საბოლოო პროდუქტთა მოცულობების ქვედა სახიზრები.

წარმოების ოპტიმალურობის კრიტერიუმად მივიღოთ საბოლოო საზოგადოებრივი პროდუქციის მაქსიმუმი ვთქვათ, მატრიცა

$$\begin{bmatrix} p_{11} & p_{12} & \dots & p_{1n} \\ m_{11} & m_{12} & \dots & m_{1n} \\ \dots & \dots & \dots & \dots \\ s_{11} & s_{12} & \dots & s_{1n} \end{bmatrix}$$

იყოს წარმოების ფაქტორთა ხარჯვის ნორმების მატრიცა (საბოლოო პროდუქციის ერთეულზე). ვიგულისხმობ, აგრეთვე, რომ წარმოების ფაქტორების მარაგთა ოდენობები

შესაბამისად შეადგენენ P, M, S . მაშასადამე, ოპტიმალური გეგმა იქნება მატრიცული წარმოების გეგმის ის ვარიანტი, რომელიც აკმაყოფილებს (2), (3) და აგრეთვე შემდეგ პირობებს:

$$p_{11}x_1 + p_{12}x_2 + \dots + p_{1n}x_n \leq P \quad (4)$$

$$m_{11}x_1 + m_{12}x_2 + \dots + m_{1n}x_n \leq M \quad (5)$$

$$s_{11}x_1 + s_{12}x_2 + \dots + s_{1n}x_n \leq S \quad (6)$$

(4), (5) და (6) უტოლობები აღნიშნავენ, რომ წარმოების ფაქტორთა დანახარჯი არ შეიძლება აღემატებოდეს ამ ფაქტორთა არსებულ რესურსებს. მატრიცული წარმოების ოპტიმალური ვარიანტი შეიძლება განისაზღვროს სხვა ხერხითაც. ვიგულისხმობ, რომ ჩვენთვის ცნობილია:

1. მატრიცული დანახარჯთა კოეფიციენტების $B = [b_{ij}]$ ($i, j = 1, 2, \dots, n$) მატრიცა;
2. ცოცხალი z_i ($i = 1, 2, \dots, n$) შრომის დანახარჯი ერთეულ პროდუქციაზე ღირებულების ერთეულებში;
3. მატრიცული წარმოებაში მაქსიმალური დასაქმება Z .
4. მოცემული საბოლოო პროდუქტები $x_1^{(0)}, x_2^{(0)}, \dots, x_n^{(0)}$ ($i \neq k$).

გეგმის ოპტიმალური პროექტის ვარიანტად შეიძლება მივიღოთ ისეთი ვარიანტი, რომლის დროსაც k -ური დარგის საბოლოო პროდუქტი იქნება მაქსიმალური, სხვა დარგების საბოლოო პროდუქტები არ იქნება დაგეგმილზე ნაკლები, ხოლო დასაქმება არ გადააჭარბებს Z -ს. მაშასადამე, ცალკეული დარგების წარმოებათა სტრუქტურა იქნება ოპტიმალური, თუ იგი აკმაყოფილებს პირობებს:

$$X_j - \sum_{j=1}^n b_{ij} X_j \geq x_i^{(0)}, \quad (i = 1, 2, \dots, n), \quad X_j \geq 0, \quad (j = 1, 2, \dots, n) \quad (7)$$

$$\sum_{i=1}^n z_i x_i \leq Z, \quad x_k = X_k - \sum_{j=1}^n b_{kj} X_j = \max \quad (8)$$

შეიძლება, აგრეთვე განვსაზღვროთ წარმოების გეგმის ოპტიმალურობის სხვა კრიტერიუმები. ვიგულისხმობ, რომ მატრიცული წარმოება იყოფა n დარგად; მაშინ დარგთაშორის კავშირების მატრიცაა $B = [b_{ij}]$ ($i, j = 1, 2, \dots, n$). ვიგულისხმობ, აგრეთვე, რომ z_i არის სამუშაო ძალის რაოდენობა, რომელიც აუცილებელია j -ური პროდუქციის ერთეულის საწარმოებლად, ხოლო დასაქმება, რომელიც დაკავშირებული არ არის წარმოებასთან, იყოს z_0 . თუ j -ური დარგის პროდუქციის ღირებულებას აღვნიშნავთ x_j -ით, მაშინ $z_i x_j$ განსაზღვრავს შრომის დანახარჯს, რომელიც აუცილებელია j -ური დარგის წარმოების განსახორციელებლად, ხოლო საზოგადოებრივი შრომის მთლიანი დანახარჯი, რომელიც აუცილებელია საწარმოო გეგმის შესასრულებლად, შეადგენს: $\sum_{j=1}^n z_j x_j$. თუ სამუშაო ძალის რესურსები შეადგენს z_0 -ს, მაშინ

უნდა დაკმაყოფილდეს განტოლება $\sum_{j=1}^n z_j x_j + z_0 \leq z_0$, გარდა ამისა, ადგილი აქვს წარმოების

საბალანსო განტოლებებს: $x_i = \sum_{j=1}^n b_{ij} x_j + x_i$, ($i = 1, 2, \dots, n$), სადაც, x_i - i -ური დარგის საბოლოო პროდუქტებია [3].

წარმოების დარგის გეგმის განსაზღვრა. ვთქვათ, წარმოების დარგი წარმოდგენილია გაერთიანებული სახით, რომლის დაქვემდებარებაშია n სამრეწველო საწარმო, რომლებიც ამზადებენ $1, 2, \dots, m$ პროდუქტებს. გაერთიანებისათვის დადგენილია საწარმოო გეგმა თითოეული პროდუქტისათვის A_1, A_2, \dots, A_m რაოდენობით. საგეგმო სამრეწველო სიმძლავრე წარმოებისათვის შესაბამისად შეადგენს T_1, T_2, \dots, T_m , ხოლო წარმოების დანახარჯები პროდუქციის ერთეულზე შესაბამისი საწარმოისათვის შეადგენს C_{ij} ($i = 1, 2, \dots, m; j = 1, 2, \dots, n$). გეგმა იქნება ოპტიმალური, თუ გაერთიანების საწარმოო დანახარჯები იქნება მინიმალური. აღვნიშნოთ x_{ij} ($i = 1, 2, \dots, m; j = 1, 2, \dots, n$) i -ური პროდუქციის მოცულობის რაოდენობა, საგეგმო პერიოდში j -ური საწარმოისათვის. მაშინ უნდა შესრულდეს პირობები



$$x_{11} + x_{12} + \dots + x_{1n} = A_1$$

$$x_{21} + x_{22} + \dots + x_{2n} = A_2$$

...

$$x_{m1} + x_{m2} + \dots + x_{mn} = A_m$$

მეორე პირობა, რომელიც უნდა დააკმაყოფილონ x_{ij} უცნობებმა, დაკავშირებულია იმასთან, რომ თითოეული საწარმოს სამრეწველო მოცულობა ვერ გადააჭარბებს მის სამრეწველო სიმძლავრეს, ამიტომ უნდა შესრულდეს პირობები

$$\begin{aligned} t_{11}x_{11} + t_{21}x_{21} + \dots + t_{m1}x_{m1} &\leq T_1 \\ t_{12}x_{12} + t_{22}x_{22} + \dots + t_{m2}x_{m2} &\leq T_2 \\ \dots \end{aligned} \quad (10)$$

$$\begin{aligned} t_{1n}x_{1n} + t_{2n}x_{2n} + \dots + t_{mn}x_{mn} &\leq T_n \\ x_{ij} &\geq 0 \quad (i=1,2,\dots,m; j=1,2,\dots,n) \end{aligned} \quad (11)$$

რადგანაც სამრეწველო პროდუქციის მოცულობები ისე უნდა განაწილდეს საწარმოო დაწესებულებებს შორის, რომ გაერთიანების სამრეწველო დანახარჯები იყოს მინიმალური, ამიტომ უნდა შესრულდეს პირობა

$$\begin{aligned} C &= c_{11}x_{11} + c_{12}x_{12} + \dots + c_{1n}x_{1n} + \\ &+ c_{21}x_{21} + c_{22}x_{22} + \dots + c_{2n}x_{2n} + \dots + \\ &+ c_{m1}x_{m1} + c_{m2}x_{m2} + \dots + c_{mn}x_{mn} + \min \end{aligned} \quad (12)$$

ამოცანის ამოხსნა მიიყვანება იმაზე, რომ მოვებნით x_{ij} უცნობების ისეთი მნიშვნელობები, რომლებიც დააკმაყოფილებენ (9), (10) და (11) პირობებს და რომ (12) გამოსახულებამ მიიღოს მინიმალური მნიშვნელობა. განხილულ შემთხვევაში ოპტიმალურობის კრიტერიუმია წარმოების დანახარჯები. შეიძლება მივიღოთ სხვა ოპტიმალურობის კრიტერიუმი. მაგალითად, დაწესებულებათა საწარმოო სიმძლავრის მაქსიმალური გამოყენება, მაშინ ოპტიმალური იქნება გაერთიანების გეგმის ის ვარიანტი, რომლისთვისაც შესრულდება (9), (10) და (11) და

$$\sum_{i=1}^m \sum_{j=1}^n t_{ij}x_{ij} = \max.$$

ტრანზპორტის ამოცანა. გადაზიდვის ოპტიმალური გეგმის განსაზღვრა მიიყვანება შემდეგი ამოცანის ამოხსნამდე:

1. მოცემულია ნებისმიერი i -ური ობიექტის საწარმოო სიმძლავრე A_i ;
2. განსაზღვრულია მოხმარების j -ურ პუნქტებში მოთხოვნილება B_j ;
3. მოცემულია გადაზიდვის ხარჯები C_{ij} ერთ ტონაზე წარმოების i -ური პუნქტიდან მოხმარების j -ურ პუნქტებამდე.

თუ წარმოების ობიექტთა რაოდენობას აღვნიშნავთ m -ით, ხოლო მოხმარების პუნქტებისას n -ით, მაშინ პირობები, რომლებიც უნდა დააკმაყოფილდეს, შეიძლება ასე ჩაიწეროს:

$$\sum_{i=1}^m x_{ij} = A_i \quad (13)$$

$$\sum_{i=1}^m x_{ij} = B_j \quad (14)$$

$$\sum_{i=1}^m A_i = \sum_{j=1}^n B_j \quad (15)$$

$$x_{ij} \geq 0 \quad (16)$$

ხადაც, x_{ij} აღნიშნავს წარმოების i -ური პუნქტიდან მოხმარების j -ურ პუნქტში გადაზიდული პროდუქტის მოცულობას. (14) ნიშნავს, რომ წარმოების i -ური პუნქტიდან ყველა მოხმარების პუნქტებში წადებულ პროდუქციასა და ჯამი ტოლია i -ური საწარმოო ობიექტის საწარმოო სიმძლავრისა. (15) - ნიშნავს, რომ სხვადასხვა საწარმოო ობიექტებთან j -ურ მოხმარებელთან შორის პროდუქტისა და ჯამი უნდა შეესაბამებოდეს j -ურ მოხმარებელის მოთხოვნილებას. (16) ნიშნავს, რომ დამამზადებელ საწარმოთა სამრეწველო სიმძლავრეთა ჯამი ტოლი უნდა იყოს მოხმარებელთა მოთხოვნილებების ჯამისა. ამოცანის ამოხსნა მდგომარეობს

მარეობს იმაში, რომ მოვებნით მიზნის ფუნქციის მინიმუმი $Z = \sum_{i=1}^m \sum_{j=1}^n c_{ij} x_{ij}$ სუფთა მოცუ-



ნილი პირობების დროს. განხილულ შემთხვევაში ოპტიმალურობის კრიტერიუმის მინიმუმი სატრანსპორტო ხარჯები. ზოგჯერ მიზანშეწონილია მივიღოთ ოპტიმალურ შემთხვევაში რიში, მაგალითად, გადახიდვის სამუშაო მოცულობები.

კაპიტალურ დაბანდებათა განაწილების ოპტიმალური გვევა. ვიფულისხმით, რომ მატერიალური წარმოება იყოფა n დარგად. შემოვიღოთ აღნიშვნები: I - საგვემო პერიოდში კაპიტალდაბანდებათა საერთო ფონდი, ხოლო I_i - i -ური დარგის კაპიტალდაბანდება. ცხადია,

რომ $\sum_{i=1}^n I_i = I$. ΔD_i -ით აღვნიშნოთ i -ური დარგის სუფთა პროდუქციის ნაზრდი, რომელიც

შეესაბამება I_i კაპიტალდაბანდებას. შემოვიღოთ კიდევ აღნიშვნა - $K_i = \frac{\Delta D_i}{I_i}$ - i -ური დარგის

სუფთა პროდუქციის ნაზრდისა, რომელიც მიიღება ფულის ერთეულის ინვესტიციის შედეგად. K_i სიდიდეს ეწოდება დარგის კაპიტალდაბანდების ეკონომიკური ეფექტურობის მანველებლი. კაპიტალდაბანდებათა საერთო ფონდი აუცილებელია განაწილდეს დარგებს შორის ისე, რომ ნაციონალური შემოსავლის ნაზრდი, რომელსაც მივიღებთ კაპიტალდაბანდებათა შედეგად, იყოს მაქსიმუმი. ე.ი. ისე, რომ

$$\Delta D = \sum_{i=1}^n \Delta D_i = \sum_{i=1}^n \frac{\Delta D_i}{I_i} I_i = \sum_{i=1}^n K_i I_i = \max \quad (17)$$

შემოვიღოთ აღნიშვნა: b_j - j -ური დარგის პროდუქციის რაოდენობა, რომელიც აუცილებელია i -ური დარგის პროდუქციის ერთეულის გასადიდებლად. j -ური დარგის პროდუქციის რაოდენობა, რომელიც აუცილებელია მატერიალური წარმოების ყველა დარგის სუფთა პროდუქციის ერთი ერთეულის გასაზრდელად, შეადგენს $\sum_{i=1}^n b_{ij} \Delta D_i$ ($j=1,2,\dots,n$). ცხადია, რომ j -ური

დარგის პროდუქციის რაოდენობა, განკუთვნილი კაპიტალდაბანდებისათვის არ შეიძლება მეტი იყოს ამ დარგის საბოლოო პროდუქტზე. ეს ნიშნავს, რომ უნდა შესრულდეს პირობები, ან

1. $\sum_{i=1}^n b_{ij} \Delta D_i$ ($j=1,2,\dots,n$), ან
2. თუ ვისარგებლებთ დარგების ეფექტურობის კოეფიციენტებით $\sum_{i=1}^n b_{ij} K_i I_i \leq q_j$ ($j=1,2,\dots,n$).

საწარმოს გვემის ოპტიმიზაცია. საწარმოს მუშაობის დაგეგმვა მნიშვნელოვან როლს ასრულებს სახალხო მეურნეობის დაგეგმვის სისტემაში. საწარმოს დაწესებულებების მუშაობაზე დამოკიდებულია ეკონომიკური ზრდის ტემპი, სამრეწველო და შრომითი რესურსების გამოყენების ხარისხი, შრომის ნაყოფიერების დონე და ტექნიკური პროგრესი. ეკონომიკური ზრდის ტემპის გადიდების ერთ-ერთი არსებითი პირობაა საწარმოს სამუშაო გვემის ოპტიმიზაცია. არსებობს წარმოების დაგეგმვის მთელი რიგი ამოცანები, რომლებიც შეიძლება ამოიხსნას წრფივი პროგრამირების დახმარებით. ასეთია პროდუქციის ასორტიმენტის ოპტიმიზაციის ამოცანა [4].

საწარმოს შეუძლია დაამზადოს n საწარმი, ამასთან არსებობს თითოეული საწარმის დაშადების გვემის სხვადასხვა ვარიანტი. დაწესებულებას აქვს m ტიპის მოწყობილობა, რომელთა საწარმოს სიმძლავრეები საგვემო პერიოდში შესაბამისად შეადგენს a_1, a_2, \dots, a_m . მატრიცა, რომელიც განსაზღვრავს საწარმოს სიმძლავრეთა დანახარჯის ნორმებს ერთეულ საწარმზე არის $P = [p_{ij}]$, ($i=1,2,\dots,m; j=1,2,\dots,n$), ხოლო მოვება, რომელსაც საწარმო მიიღებს j -ური პროდუქციის გაყიდვით არის C_j , ($j=1,2,\dots,n$). აუცილებელია განვსაზღვროთ პროდუქციის ასორტიმენტის ოპტიმუმი. ე.ი. განვსაზღვროთ ცალკეულ პროდუქციათა მოცულობები ისეთნაირად, რომ წარმოებამ მიიღოს მაქსიმალური შემოსავალი. $1,2,\dots,m$ მოწყობილობათა ტიპების საწარმოს სიმძლავრეები, რომლებიც აუცილებელია ყველა საწარმო დასამზადებლად, შესაბამისად შეადგენენ:

$$\begin{aligned}
 & p_{11}x_1 + p_{12}x_2 + \dots + p_{1n}x_n, \\
 & p_{21}x_1 + p_{22}x_2 + \dots + p_{2n}x_n, \\
 & \dots \\
 & p_{n1}x_1 + p_{n2}x_2 + \dots + p_{nn}x_n.
 \end{aligned}$$

ვინაიდან ყველა მოწოდებლობის საწარმოო სიმძლავრე არის a_1, a_2, \dots, a_m , ამიტომ ყოველი i -ური ტიპის საწარმოო მოწოდებლობის საწარმოო სიმძლავრე, რომელიც აუცილებელია ყველა დაგეგმილი ნაწარმის დასამზადებლად, უნდა აკმაყოფილებდეს პირობებს:

$$\sum_{j=1}^n p_{ij}x_j \leq a_i, \quad (i=1,2,\dots,m), \quad x_j \geq 0, \quad (j=1,2,\dots,n) \quad (19)$$

ხოლო სამრეწველო საქმიანობის მთლიანი მოგება შეადგენს:

$$Z = \sum_{j=1}^n c_j x_j \quad (20)$$

ამოცანის ამოხსნა იმაში მდგომარეობს, რომ ვიპოვოთ x_1, x_2, \dots, x_n მნიშვნელობები, რომლებიც დააკმაყოფილებენ (19) პირობებს და რომლისთვისაც (2) მიზნის ფუნქცია მიიღებს მაქსიმალურ მნიშვნელობებს [3,4].

გამოყენებული ლიტერატურა

1. რ. დანელია მატრიცები. „ინტელექტი“, თბილისი 1997.
2. რ.ვ. დანელია, ნ.ვ. ჩხაიძე, ა.ზ. გოგხაძე მათემატიკა ეკონომისტებისათვის (ხალექციო კურსი). ნაწ. 1. თბილისი 2003 წ.
3. Аллен Р. Математическая экономика. М, изд. иностранной литературы. 1963.
4. Боярский А.Я. Математика для экономистов. М. Госстатиздат. 1961 г.

Определение оптимального плана материального производства математическими методами

Чхaidze Н.В. (ГГСХУ)

В труде рассмотрен случай поиска оптимального варианта плана, с большим количеством неизвестных. Также рассмотрена задача связанная с транспортом, в котором значение имеет определение оптимального плана перевозок. Детально рассмотрен оптимальный план распределения капиталовложений. Рассмотрены показатели экономической эффективности капиталовложений в отрасль, и задача оптимизации ассортимента продукции.

Definition of the Optimum Plan of Production of Goods by Mathematical Methods

N. Chkhaidze (GSAU)

In work is considered the case of search of an optimum variant of the plan, with a plenty of unknown. Also is considered a task, connected with transport in which definition of the optimum plan of transportations has a meaning. The optimum plan of distribution of capital investments is considered in details. Parameters of economic efficiency of capital investments in branch, and a task of optimization of assortment of production are considered.

სოხიალიზმის იდეა სოხიალისტ-ფედერალისტებთან

მ. ჯერჯერუნიძე

ნაშრომში ნაწილებია სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მრავალმხრივი მოღვაწეობის, ქვეყნის ხალხის სოციალური ინტერესების დასაცავად წინა პლანზე წამოწეული მუხიციპალური სოციალისტის იდეა, რომელიც შედგებოდა რამდენიმე გათვითვალისწინებულ და დასახულთა მისი განხორციელების გზებზე.

სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია წამოყალიბდა XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ეს ის პერიოდი, როცა საგრძნობლად დაჩქარდა კაპიტალიზმის განვითარება და ამის შედეგად საგრძნობი ცვლილებები მოხდა საქართველოს ეკონომიკაში, შესაბამისად მოსახლეობის სოციალურ სტრუქტურაში, კლასთა ურთიერთობასა და საზოგადოებრივ აზროვნებაში.

ინტელიგენციას ყველაზე ნათლად ჰქონდა გააზრებული ეპოქის ხასიათი. მის ფუნქციას შეადგენდა შეგნებულის, ორგანიზებული ხასიათი მიეცა დაბალი ფენების განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის.

ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისში, სოციალისტ-ფედერალისტები მოითხოვდნენ მუნიციპალიტეტების უფლება-კომპეტენციის გაფართოებას, საქალაქო თვითმმართველობების პოლიტიკურ და გარნიზონებისათვის საჭირო ხარჯების დაკისრებისაგან განთავისუფლებას.

საქართველო საქალაქო თვითმმართველობები კომუნალური მეურნეობის მოწყობა-მართვის საკონცესიო-საიჯარო მეთოდს იყენებდნენ. კერძო ვაჭარ-მრეწველებს იჯარა-კონცესიის სახით გაიცემოდა წყალსადენი, ქუჩების განათება და სხვ. სოციალისტ-ფედერალისტები ამწვედნენ, რომ ასეთი წესი კერძო პირებს დიდ მოგებას აძლევდა, ქალაქის თვითმმართველობის საღარიბო კი ბევრს არაფერს მატებდა. ისინი მოუწოდებდნენ თვითმმართველობა მსგავსებებს მიუხედავად ქალაქის საზოგადოებრივი ხასიათის საწარმო-დაწესებულებათა მუნიციპალიზაცია.

1903 წლის მარტში, წინასაარსებო აგიტაციასთან დაკავშირებით, არ. ჯორჯიძე წერდა, რომ ქალაქში ბურჟუაზია გაბატონებული. იგი მხოლოდ თბილისის მდებარეობით დასახლებულ უბნებზე ფიქრობს. უნდა მოვითხოვოთ, რომ განაპირა უბნებსაც ყურადღება მივაქციოთ. ამასთან უნდა, არ. ჯორჯიძეს მისანშეწონილად მიანდოთ თვითმმართველობის თავის ხელში აღელ საქალაქო ვაჭრობა, ცხენის რეზივსა, კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მოწყობა-მართვა. "უნდა გვახსოვდეს, რომ ყოველი ამგვარი საქმე კერძო ხელში ჩაგარდნილი, მოგებას მხოლოდ კერძო პირებს აძლევს. ამ მოთხოვნილებათა დაკავშირების ინიციატივებს განსაზოგადოებრიობას ის მნიშვნელობა აქვს, რომ ამ შემთხვევაში საქმის მოთაველ, მესაკუთრედ თვით საზოგადოება, ქალაქი ხდება. ამიტომ, ყოველივე მოგება თვით საზოგადოებასვე უბრუნდება. დასავლეთ ევროპის ქალაქების ისტორიას რომ დავაკვირდეთ, სწორედ ქალაქების ამგვარ მისწრაფებას დიანახავთ. სხვადასხვა საწარმოებში საქმიენი "მუნიციპალიზაცია" - აი მიზანი, რომლის განხორციელებას ცდილობენ ევროპაში... ჩვენც ვერ ავუქციებთ გვერდს ამ გზას, თუ ქალაქის მცხოვრებლებს კეთილდღეობაზე მართლა გვინდა ვისრუხოთ" [1].

ორიოდე თვის შემდეგ ამავე საკითხს შეეხო სამხრ. ფორცხალავე, უფრო მეტი მაგალითები მოიყვანა დასავლეთ ევროპის საქალაქო ცხოვრებიდან. იგი მუნიციპალიზაციის კლასიკურ ქვეყნად ასახელებს ინგლისს, სადაც თანდათანობით მოხდა ტრამპის, განათების სისტემის, ქალაქიდან ნაგვის გრანის და სხვა სფეროების მუნიციპალიზაცია. მალე საქალაქო თვითმმართველობები ჩაერთვნენ ვაჭრობაში, თანდათან გაამრავლეს მუნიციპალური მაღაზიები, პურსაცხობები, სასაღილეოები, აბანოები, სახალხო თეატრები. ამ ბოლო დროს დაიწყო იაფი სახლების მშენებლობა. ავტორი დასაკენის, რომ დასავლეთ ევროპის ქალაქები დაადგინენ კომუნალური მეურნეობის ახლებურად მოწყობის გზას, რაც ახლო მომავალში საყოველთაო უნდა გახდეს. იგი დარწმუნებული იყო, რომ რუსეთის იმპერიაშიც და კერძოდ, საქართველოშიც, მომავალი მუნიციპალური მეურნეობას ეკუთვნოდა [2].

სოციალისტ-ფედერალისტებს მისანშეწონილად მიანდოთ საქართველოს მუნიციპალური მოღვაწეებსაც გამოყენებისათვის დასავლეთის გამოცდილება კომუნალური მეურნეობის კეთილმოწყობის საქმეში. ამ მხრეს საინტერესოა ერთი მათგანის წერილი - "საინტერესო გამოყენება". ავტორი წერს საერთოდ ქალაქების, და კერძოდ, გერმანიის საქალაქო თვითმმართველობების წარმატებათა შესახებ. ამ ბოლო დროს ქალაქი თვითი სახელმწიფოს ბაზრად, ქარხნად, სახელოსნოდ და მალაზიად გადაიქცა. საქალაქო თვითმმართველობის დამსახურება მრავალი სიკეთე, რომელთაც თავი მოაქვთ დასავლეთ ევროპელებს. "განცვიფრებას იწვევს ამ სწორე გერმანია და მისი ქალაქები. რაღა თქმა უნდა, ასე განვითარებული ქალაქის ცხოვრების შესწავლა ძალიან საინტერესოა და სწორედ ამ სამსახურს უწევს დღევანდელი გამოყენება ყველა მსურველს". ავტორი საყვარელს გამოიყენებს საქართველოს მუნიციპალური მოღვაწეთა მისამართით, რომლებმაც უყურადღებოდ დატოვეს გერმანიაში მოწყობილი ეს გამოყენება, წარმომაღლებდნენ არ ვაჭარებს მის გახაცნობად. "სამწუხარო კია ეს მოვლენა... ჩვენი "მაშები" ბევრს სასარგებლო რამეს ისწავლიდნენ, ნახავდნენ, გაიტრობდნენ" [3].

1908-1916 წლებში სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიას რამეც ახალი დებულება თავისი სოციალური პროგრამისათვის არ მიუძღებოდა. ამ პერიოდში სოციალისტ-ფედერალისტებმა წინა პლანზე წამოიწიეს მუნიციპალური სოციალიზმის იდეა, რომლის განხორციელებასაც ბურჟუაზიასთან შეთანხმებით, მშვიდობიანი მეთოდებით ვარაუდობდნენ. ქალაქის საზოგადოებრივი ხასიათის წარმოება-დაწესებულებათა მუნიციპალიზაცია, მათი აზრით, იყო ერთი ისეთი ნაბიჯი, რაც მოამზადებდა ნიადაგს სოციალიზმზე გადასვლისათვის. საბოლოო

მიხის განხორციელების წინაპირობად სოციალისტ-დემოკრატიის მიზნად აღიარებული მუშათა სინდიკატები, პროფესიონალური კავშირები, მწარმოებელთა და მომხმარებელთა კოოპერატივები. დემოკრატიული მოდელის სოციალისტებისათვის ბრძოლაში ისინი გადაწყვეტილი მნიშვნელობის ანიჭებდნენ პოლიტიკურ ინსტიტუტებს, იბრძოდნენ უფლება-კომპრომის წინააღმდეგ. დღევანდელი სახელმწიფო სათათბიროს დამფუძნებელ კრებად გარდასახვისათვის სრულყოფილ რუსეთშიც დაამყარებდა პარლამენტარულ დემოკრატიას, ხელსაყრელ პირობებს შექმნიდა სოციალურ ურთიერთობათა დარეგულირებისათვის.

“სახალხო გაზეთის” რამდენიმე ნომერში იბეჭდებოდა გრ. გველესიანის ვრცელი სტატია “მუნიციპალური სოციალიზმი”. “ერთიანი მიმდინარეობის” ქალაქის თუ სხვა სათემო თვითმმართველობის სფეროში - წერს ავტორი - მუნიციპალური ანუ კომუნალური სოციალისმის სახელს უწოდებენ. თეორიულად იგი ნიშნავს სოციალიზმს სახელმწიფო მმართველობის ერთ დარგში, მაგრამ ვინაიდან შეუძლებელია სრული განხორციელება სოციალისტების ერთ დარგში, ამიტომ თავის პრაქტიკული მნიშვნელობით მუნიციპალური სოციალიზმი დღევანდლობით მხოლოდ რევიორმებაა სოციალური ტენდენციით და როგორც ასეთი, იგი თვით სოციალიზმი არ არის”.

გრ. გველესიანი შემდეგ აღნიშნავს, რომ მუნიციპალური სოციალიზმი პირველყოველსა გულისხმობს ქალაქის თვითმმართველობას და ამიტომ ამჟღავნად მხოლოდ ქალაქებზე შეაზღოვებოთ ყურადღებას.

კომუნალური სოციალისტები მუნიციპალურ სოციალიზმს მიიჩნევენ დემოკრატიულ რევიორმად სოციალისტური ტენდენციით. იგი არსებითად ლიბერალური ბურჟუაზიის მუნიციპალური პროგრამის ნაწილია. ფაქტი იყო, ავტორის განცხადებით ის, რომ რადიკალური ბურჟუაზიის პროგრამა ზოგიერთ სფეროში უახლოვდებოდა სოციალისტურს. ასეა კერძოდ საქალაქო თვითმმართველობის სფეროში, სადაც რადიკალური ბურჟუაზია და სოციალისტური პარტია ერთგვაროვან მუნიციპალურ პროგრამას იცავენ. განსხვავება იმაშია, რომ პირველისათვის იგი თვითმიზანია, მეორესათვის კი საშუალება უფრო შორეული მიზნის განხორციელებისათვის [4].

მუნიციპალური სოციალიზმის არსის გარკვევისათვის გრ. გველესიანი იყენებს პარიზის თვითმმართველობის პრაქტიკას. აღნიშნავს, რომ 1904 წელს, პარიზის საქალაქო საბჭომ მიიღო სამოქმედო პროგრამა, რომელიც შედგებოდა რამდენიმე განყოფილებიდან: 1. პოლიტიკური; 2. ეკონომიკური; 3. საბიუჯეტო; 4. სწავლა-განათლების; 5. სოციალური სიღატაკისა და 6. ბინისა და სოციალური პიკეინისა.

გრ. გველესიანი თავს იკავებს შეიკრას პარიზის დემოკრატიული მუნიციპალიტეტის საქმიანობის დეტალებში და უბრუნდება რუსეთის იმპერიას, იძლევა იქ არსებულ საქალაქო თვითმმართველობის დახასიათებას. აღნიშნავს, რომ ძველი საქალაქო დებულებით (1870 წ.) გუბერნატორი თვალყურს ადევნებდა მხოლოდ იმას, თუ რამდენად კანონიერი იყო საქალაქო თვითმმართველობის საქმიანობა. ახალი დებულების (1892 წ.) მიხედვით კი გუბერნატორი კონტროლს უწევდა არა მარტო მუნიციპალიტეტთა საქმიანობას, არამედ მის “სისწორებას”, ე. ი. აკვიროვდა იმას, თუ “რამდენად ეთანხმებოდა ეს გადაწყვეტილებანი საქართველოს სახელმწიფოებრივ სარგებლობას და საჭიროებას”. სტატიის ავტორი გმობს ახალ საქალაქო დებულებას, რომლის მიხედვითაც გუბერნატორი ბოჭავდა საქალაქო თვითმმართველობის ინიციატივას, “ვგრძობს” ადგილად მთავრობისათვის არასასურველ დადგენილება-გადაწყვეტილებებს. “მთავრობის უნდობლობა საზოგადოებრივი ძალებისადმი - წერს იგი - ისე შორს წავიდა, რომ უკვე ფორმალურად დააწესა იქვეა ქალაქის თვითმმართველობაზე”.

შემდეგ გრ. გველესიანი აღნიშნავს, რომ ასეთი ცენტრალიზმი და დიქტატო რუსეთის სახელმწიფოს ძალიან ძვირი უჯდება, მაგრამ არ აძირებს მიზანძრვას მაგალითად, ინგლისის, სადაც ადგილობრივი საქმეებს მთლიანად თვითმმართველობები განაგებენ და აფინანსებენ. როგორც ჩანს “პოლიტიკური აბსოლუტიზმის პრინციპის შეთავსება ავტონომიის პრინციპთან, შეუძლებელია... ერთმა ცნობილმა რუსმა საზოგადო მოღვაწემ გამოთქვა აზრი, რომ საჭიროა მოხდეს თვითმმართველობის რეფორმა დემოკრატიულ პრინციპებზე”. ამაზე მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე პლევენი უპასუხა: “სახელმწიფოს არ შეუძლია ხელდასრულებას გაუშვას საქალაქო თვითმმართველობა, ვინაიდან მას მოუყვება საკითხი თვით სახელმწიფო სისტემის გარდაქმნისა: ერთბედას და ქალაქებს შეუძლიათ ჩვენში იარსებონ, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებს ადგილობრივი საჭიროებათა განსაკუთრებით. სტატიაში შეფარვით ის აზრია გატარებული, რომ ასეთი დემოკრატიული რევიორმის გამო საქალაქო თვითმმართველობის დემოკრატიზაცია შეუძლებელი ხდება.

“მუნიციპალური სოციალიზმის პრინციპის ერთ სერიოზულ მუხლს წარმოადგენს - წერს გრ. გველესიანი - კომუნალთა შორის თავისუფალი შეთანხმების უფლება... კომუნალთა შეთანხმებას, განსაკუთრებით პატარა დარბიბი კომუნებისათვის ის მნიშვნელობა აქვს, რომ სახვებთან კავშირის წყალობით მათ შეუძლიათ აწარმოონ თავიანთი მუერნობა უფრო რენტაბელურად. ეს უფლება კომუნების გაერთიანებისა (დახალულთ ვეროპასშიც კი) მეტად შესაძლებელია და მუშათა კლასის ცდილობს მის გაფართოებას. რაც შეეხება რუსეთს, არსებულ რევიორმში ასეთ უფლებასე დაპირება, კი არ შეიძლება... 17 ოქტომბრის მანიფესტის თანახმად, ხალხს კავშირთა და თავისუფლებათა უფლებად მიენიჭა, მაგრამ რუსეთის მთავრობაში მისი საზოგადოებრივი ძალების კოლექტიური მუშაობის წინაშე იმდენად დიდად, რომ იგი ნებისა არ აძლევს ქალაქის წარმომადგენლებს შეიკრიბონ ერთად აზრთა პირადი იგი ცვლილება-გამოცვლისათვის ქალაქის მიმდინარე საქმეების შესახებ” [5].

სტატიის გაგრძელებაში გრ. გველესიანი კვლავ უბრუნდება მუნიციპალიზაციის პრო-

გრამას. ეს ნიშნავს "ქალაქის საქმეთა წარმოებაში ისეთი სისტემის დადგენას როდესაც ამ საქმეების ექსპლიატაცია თვით ქალაქის თვითმმართველობათა პირდაპირ გამკლებლობა და განკარგულებაში იმყოფება ეს მოხერხება შეიცავს: ერთ მხრივ კაპიტალისტების (კომპანიაზონისა და კერძო პირების) ხელდიან კომუნალურ საწარმოთა გამოცვლას, ექსპორტირებისა და მუშაობის საშუალებით, არსებულ კონცესიათა კომუნების ან კომუნის ხინდურებისათვის კაპიტალისტურ მფლობელობაში გადასვლას". საზოგადოებრივი ხასიათის წარმოება-დაწესებულებებისა შექმნილად საციის შედეგად: ა) მოგება, რომელსაც აქამდე ცალკეული კაპიტალისტები და კომპანიები იღებდნენ, ვადავ საზოგადოებრივი თვითმმართველობის განკარგულებაში საზოგადოებრივ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად; ბ) კომუნალური მეურნეობა მიიღებს საზოგადოებრივ, ნაციონალურ ხასიათს და მას ჩამოსცილება კერძო კაპიტალისტური ორგანიზაციის ყველა ბოროტება და ნაკლი. გ) გაიავლება კომუნალური მომსახურება, წყალი, განათება და სხვა ყველა სათვის ხელმისაწვდომი გახდება. კერძო კომპანიებთან შედარებით, მუნიციპალურ საწარმოებს ნაკლები შუქონაგალი და მოგება ექნებათ, მაგრამ წორედ ამაში მდგომარეობს მუნიციპალიზაციის სიკეთე. "იმ ქალაქებში, რომლებიც მოგებას არ გამოიკლებენ, მოახერხებს ყველგან და ყველაფერში ტარიფების შესაძენვე დაწვევა, უკეთესი ხარისხის პროდუქციის მიღება, საქმის და შრომის პირობების გაუმჯობესება. ამიტომ - დასკვნის ავტორი - ქალაქის თვითმმართველობებს მიზნად დაუდევთ მცხოვრებთა ინტერესების სამსახურს და არა მოგების მიღება. თუ ეს ასეა, მაშ სოციალისტები მუნიციპალიზაციის იდენ დატყობის ვასაკიხე პი არა, არამედ საერთო გამოქმნაგების და მოწონების დონის არაან" [6].

პარიზელთა მუნიციპალური პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განყოფილება იყო სწავლა-განათლების საქმე იგი თვალისწინებდა: 1) სწავლა უფასო და საყოველთაო; 2) სასწავლო ნიუთებისა და წიგნების უფასოდ დარიცხვა; 3) დახმარების გაცემა კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის.

გრ. გველსონი შენიშნავს - "როდესაც უფასო სწავლაზე ლაპარაკობენ, სოციალისტებს სახეში ეხლა საშუალო და უმაღლესი სასწავლებლები აქვთ, რომელნიც დღეს პრინციპულია შექმნილად ხალხთა და თითქმის სრულიად მიუწვდომელი მშრომელი მასის შვილებებისათვის. იქვე ავტორი წერს, რომ პირველდაწყებითი სკოლა დასავლეთ ევროპაში ყველა სათვის ხელმისაწვდომია, მაგრამ ესაა და ეს... მართვ წერა-კითხვა... მცირე ცოდნა და განვითარება, რასაც იძლევა პირველდაწყებითი სკოლა, საქარისი არ არის. საშუალო და უმაღლესი სასწავლებელი მასისათვის, დიდი გადასახადების გამო, ხელმიუწვდომელია.

"ბურჟუაზიული კლასი ბატონობს არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ფლობს წარმოების საშუალებებს, არამედ იმიტომაც, რომ იგი ამისთანავე ფლობს განათლების საშუალებებსაც, თავის მიზნობლივად გაიხადა საკვიალური ტექნიკური, საექიმო, იურიდიული და სხვაგვარი ცოდნა".

"დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყნებში", - წერს შემდეგ ავტორი, "პირველდაწყებითი განათლება არ არის მთლად საერო, სასულიერო წოდება ჯერ კიდევ ძლიერ მეტოქეობას უწევს განათლების საქმეში საერო სკოლას, აფერხებს მშრომელი ხალხის თვითშეგების განვითარებას. ამიტომ, სოციალისტები ცდილობენ განათლების საქმეში ერთგვარობის დამყარებას როგორც მუნიციპალურ, ისე სახელმწიფო კომპეტენციის ფარგლებში. ამისათვის ისინი თხოვლობენ, რომ სკოლა პოლიტიკური მხრივ გამოცხადებული იქნას ნეიტრალურ რუდ". რუსეთი ამ მხრივ ჩამორჩა დასავლეთს. აქ პირველდაწყებითი განათლება არ არის საგადაღებელი და მაშასადამე, არც საყოველთაოა. სკოლების რიცხვი მეტად მცირე, სწავლების ხარისხი დაბალი და თანაც ფასიანია. "საშუალო და უმაღლესი ტიპის სასწავლებელი კი, ნიუთისი პირობების წყალობით, ხალხს უფარობეს კლასისათვის არ არსებობს.

"რუსულ სკოლებს - ხაზგასმით წერს ავტორი - კიდევ ერთი რამ ამასიათებთ - სწავლის ენის უკიდურესი ერთგვარობა". ამ ევებერთელა მრავალფეროვან იმპერიაში თითქმის ყველა ტიპის სკოლაში ერთადერთი რუსული ენა ბატონობს. სხვა ეროვნებათა ენები გამოდევნილია. გამონაკლისი არც პირველდაწყებითი სკოლება, იქაც რუსული ბატონობს, რაც დიდ სიანს აყენებს დაბალ მასას, ხალხის შვილთა უმრავლესობას მთლიანად სკოლის გარეშე სტოვებს ან თუ უშვებს სკოლაში, თითქმის არავითარ ცოდნას არ აძლევს. ასე, რომ სკოლა არა რუს ერთათვის ფაქტიურად არ არსებობს [7].

ამ ცრცელი წერილების სერიაში დიდი ავტორი უკავია მუნიციპალური სოციალისმის სოციალური სოლიდარობის განყოფილების საქმიანობის ანალიზს. ავტორი აღნიშნავს, რომ არც რადიკალური ბურჟუაზია ამბობს უარს ღარიბი მოსახლეობის დახმარების ფორმებზე (მატერიალური შეწყობა, უფასო საექიმო დახმარება, დამის თავშესაფართა მოწყობა, მუშათა დახვევა და სხვა). ბურჟუაზიული პარტიათა პროგრამა ფორმით თითქოს არ განსხვავდება სოციალისტური მუნიციპალური პროგრამისაგან, მაგრამ მათი შინაარსი და მიზანი არსებითად განსხვავებულია. ბურჟუაზიული დემოკრატებისათვის ქველმოქმედება ხანგამოშვებითი გასაკეთებელი საქმეა. ისინი არ ზრუნავენ დახმარების სტაბილურ ფორმებზე, სოციალური დახმარების რეგონალურ ორგანიზაციის სოციალისტები კი მედგარი დამცველები არიან საგადაღებელი დახმარებისა. მათ თვალში შეწყობის მიმდებარე უთვისტოთა დატაკი კი არ არის, არამედ მოქალაქეა, რომელსაც თავის დაატყდა უბედურება. ამიტომ, სოციალისტები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ იმ წინასწარ ღონისძიებათა გატარებას, რომელიც არ დაუშვებს მშრომელი ხალხის გაღატაკებას. უცოდველია დახმარების მყარი სისტემის შექმნა, სოციალური სოლიდარობის საქმის კომუნალისაცია ანუ მუნიციპალიზაცია.

"სოციალური უზრუნველყოფა - ნათქვამია დასახლებულ სტატიაში - თხოვლობს დიდ ნიუთურ საშუალებას, შრომას, მეცნიერულ მომზადებას. ამიტომ, ის დიდ კულტურულ ქვე

ნებშიც კი ეს ვხვადიხარ". მოხუცთათვის არსებობს საპენსიო სადარობები, უსაქმოდ დარჩენილთა სადარობები, შრომის ბირჟები და სხვა. კერძო და საზოგადოებრივი დონის საქალაქო-სოციალური დაწესებულებები რუსეთშიც არსებობს, მაგრამ კაპიტალის უპირატეობისა და ბიუროკრატიული წესით მართვის გამო, პოპულარობით არ სარგებლობენ. ასეთ საზოგადოებრივ ქალაქებში უწყვეტ თანაგრძობლად მართება, მაგრამ საქალაქო თვითმმართველობის უწყვეტობის ამ საკმის კორინტიანობის [8].

სტატიის დასკვნაში გრ. გველეხიანი წერს: "დაუსახავთ რა საბოლოო მიზნად მუშათა კლასის ემანსიპაცია, სოციალისტების სრულიადაც არ ჰგონიათ, რომ ეს მიზანი შეიძლება განხორციელდეს ერთ მშვენიერ დღეს, ერთი მარჯვე ხელის მოქნევით". მათ იციან, რომ ამ დიდი ამოცანის შესრულებას დიდი დრო და შრომა სჭირდება; რაც უფრო მეტი რეფორმა გატარდება, მშრომელთა ინტერესების დამცველი ინსტიტუტი შეიქმნება, მით უფრო მიუახლოვდება მათ ხანს. იმ დაწესებულებათა შორის, რომელთაც მშრომელთა ყოფა-მდგომარეობის გაუმჯობესება დაუსახავთ მიზნად, პოლიტიკურ ორგანიზაციებთან ერთად, უნდა დავასახველოთ მუშათა სინდიკატები, პროფესიული კავშირები, მწარმოებელთა და მომხმარებელთა კომპარტიკები. ამათ უნდა მიუყვანონ ქალაქისა და სოფლის კომუნა. თვითმმართველობის შეუქმნა ახლო მომავალში გადაიქცეს ისეთ წრედ, სადაც სოციალიზმის პრინციპი რამდენადმე მაინც განხორციელდება... როდესაც ზეგნ ვლადპარაკობთ კომუნებზე, როგორც კოლექტივიზმის ემბრიონზე, სახეში უმთავრესად გვაქვს ქალაქი, რომელიც სოფელთან შედარებით უფრო ადვილად ახერხებს სოციალიზმის პრინციპის გატარებას კომუნალური საკითხებისთვის... მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სოფელი ყოველგვარ სოციალისტური მუშაობის გარეშე დარჩეს. პირიქით, ასეთმა მუშაობამ წმინდა აგარარულ საკითხთა სფეროში სწორედ სოფელი უნდა აირიოს თავის ასპარეზად".

იქვე ავტორი ვლადპარაკობს რუსეთის თავისებურებაზე და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ვიდრე რუსეთში ბატონობს ძველი რეჟიმი, არა თუ სოციალისტური, არამედ ლიბერალურ-რადიკალური მუნიციპალური რეფორმა ან სრულიად შეუძლებელია, ან ყოველ სიმკვიდრეს მოკლებულია. მაშასადამე, ბრძოლას თავისუფალი სოციალური კომუნისათვის, აქ წინ უნდა უძღოდეს ბრძოლა პოლიტიკური თავისუფლებისათვის. ხოლო რუსეთის განაპირა ქვეყნებში, რომელნიც სულს დაფიქვნი ორმაგი - პოლიტიკური და ეროვნული ჩაგვრის ქვეშ, საერთო პოლიტიკურ ბრძოლასთან ერთად, უნდა წარმოებდეს ბრძოლა ეროვნული საკითხის გადასატრეულად" [9].

ნაშრომის წინა ნაწილში მოტანილ მასალასა და მის საფუძველზე გაკეთებულ დასკვნებს თუ გაიხსენებთ, დაერწმუნდებით, რომ გრ. გველეხიანის სტატიაში კარგად არის გასოცემული და პრობლემატიკური სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის პროგრამის თითქმის ყველა პროგრამული დებულება.

ამრიგად, სოციალისტ-ფედერალისტები ამწვედნენ საქალაქო კანონმდებლობას ნაკლოვანებას, თვითმმართველობის კრიზისის მიზეზებს. მდგომარეობის გამოსწორების წინაპირობად მათ მიანდათ თვითმმართველობის მუშაობაში ხალხის წარმომადგენელთა დაშვება. ამასთან, ისინი მოითხოვდნენ თვითმმართველობის პრინციპისადმი მეტ პატივისცემას, იღაშქრებდნენ მთავრობის ადმინისტრაციის შაკერი კონტროლის წინააღმდეგ. თვითმმართველობის წარმატების საწინდარად მიანდათ მისი უფლება-კომპეტენციის გაფართოება, თვითმმართველობისათვის ადმინისტრაციული და საპოლიციო ხელისუფლების გადაცემას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. არ. ჯორჯაძე. "კიდევ მომავალი არჩევნების გამო", იხ. "ცნობის ფურცელი", 1902 წელი 3 მარტის ნომერი №1741
2. კალაში "ქალაქის თვითმმართველო, როგორც მრეწველი და მწარმოებელი", იხ. "ცნობის ფურცელი", 1902 წელი 29 ივნისი №1852
3. "ცნობის ფურცელი", 1903 წელი 23 თებერვლის ნომერი
4. გრ. გველეხიანი, "მუნიციპალური სოციალიზმი", იხ. "სახალხო გაზეთი", 1910 წ. 15 მაისის ნომერი
5. გრ. გველეხიანი, "მუნიციპალური სოციალიზმი", იხ. "სახალხო გაზეთი", 1910 წლის 19 მაისის ნომერი
6. იქვე, 20 მაისის ნომერი
7. იქვე, 26 მაისის ნომერი
8. იქვე, 31 მაისის ნომერი
9. იქვე, 10 ივლისის ნომერი

Идея муниципального социализма у социалист-федералистов

Гогриberidze M.H. (ГГСХУ)

Партия социал-федералистов была сформирована на рубеже 19-20 вв. в период, когда ускорилось развитие капитализма и как следствие этого произошли довольно значительные изменения в экономике Грузии, соответственно изменения произошли и в социальной структуре населения, в межклассовых взаимоотношениях и общественном мышлении.

